



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000069683805718

№ 13-ი

02 / ნოემბერი / 2018 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნაშოვარში, აეროპორტის ქუჩისათვის ივანე თაბაგარის სახელის მინიჭების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

დაიშვას გამონაკლისი კანონმდებლობით დადგენილი წესიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნაშოვარში, აეროპორტის ქუჩისათვის ივანე თაბაგარის სახელის მინიჭებაზე.

მუხლი 2

ეს განკარგულება გადაეგზავნოს, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად



გიორგი ლამბაშიძე